

საქართველოს კანონი

“პოლიციის შესახებ” საქართველოს კანონში ცვლილებისა და დამატების შეტანის
თაობაზე

მუხლი 1. “პოლიციის შესახებ” საქართველოს კანონში (საქართველოს
რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს უწყებები №9 1993 წელი, თავი II - პოლიციის
მოვალეობები და უფლებები, მუხლი მე-9) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. “თავი II - პოლიციის მოვალეობები და უფლებები, მე-9 მუხლის I პუნქტის
“ფ” ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

1) “პირის მიერ კანონით დადგენილი საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტის
წარდგენის შემთხვევაში სასამართლო გადაწყვეტილების გარეშე, გარდა იძულებით
გადაადგილებული პირებისა, უზრუნველყოს აღნიშნული პირის საკუთრებაში
არსებული უძრავი ნივთის ხელყოფის ან სხვაგვარი ხელშეშლის აღკვეთა. არდა
საგარაუდო ხელყოფის მიერ უძრავ ნივთზე საკუთრების, მართლზომიერი
მფლობელობის ან /და სარგებლობის დამადასტურებელი წერილობითი დოკუმენტის
წარდგენის შემთხვევისა”.

მუხლი 2 ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი